

**“INTERROGO ERGO COGITO” – „ვიკლავი შიკითხვებს,
მაშასადამე, ვარსებობ“: რესპონსორული სიმღერა და
ადამიანური აზროვნების საწყისები**

ჩემს ადრინდელ მოხსენებებში და პუბლიკაციებში არაერთხელ აღმინიშნავს, რომ მრავალხმიანობის გენეზისის საკითხი უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანური ენის, მეტყველებისა და აზროვნების საკითხებთან (იხ. ჟორდანიას 1988, 1988ა, 1989, 1997, 2000, 2002, 2003). ამჯერად მე არ მექნება საუბარი დანაწევრებული მეტყველების განვითარებაზე (რამაც, ჩემეული მოდელის მიხედვით, წარმოქმნა მრავალხმიანობის კერების გავრცელების დღეისათვის არსებული უცნაური სტრატეგიკაცია ჩვენს პლანეტაზე) და, შესაბამისად, არ მექნება საუბარი არც მრავალხმიანობის და ანთროპოლოგიური მონაცემების დამთხვევაზე, არც მეტყველების პათოლოგიებზე და არც ფონოლოგიური სისტემის ათვისების თავისებურებებზე სხვადასხვა პოპულაციებში.

ამჯერად საუბარი მექნება იმაზე, რომ მრავალხმიანობის ფენომენს აქვს ორი ფაქტორი, რომელთა გაუთვალისწინებლობა ძალიან ცალმხრივ შეხედულებას გვიქმნის მრავალხმიანობაზე, როგორც მოვლენაზე. ესენია **სოციალური ფაქტორი** (ანუ მრავალხმიანობა არის ჯგუფური სიმღერა, სოციალური ურთიერთობა სიმღერის საშუალებით), და **მუსიკალური ფაქტორი**, (ანუ მრავალხმიანობა არის ორი ან მეტი ბგერის ერთდროული ჟღერადობა).

მუსიკისმცოდნეობაში დამკვიდრებული საუკუნოვანი ტრადიციის მიხედვით ტერმინ „მრავალხმიანობაში“ იგულისხმება მხოლოდ მუსიკალური ფაქტორი, ანუ ორი ან მეტი განსხვავებული სიმაღლის ბგერის ერთდროული ჟღერადობა, და არავითარი ყურადღება არ ექცევა სოციალურ ფაქტორს. ჩემი მოხსენების ძირითადი მიზანი არ არის, რომ ძირეულად შეიცვალოს ტერმინ „მრავალხმიანობის“ არსებული გაგება, მაგრამ გადაჭრით ვაცხადებ, რომ მრავალხმიანობის ფენომენის როგორც წარმოშობაში, ისე მის დღევანდელ ფუნქციონირებაში სოციალურ ფაქტორს უდიდესი როლი ჰქონდა და აქვს, და ამისი გაუთვალისწინებლობა სრულებით გაუმართლებელია.

თუ დავაკვირდებით, ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ეს ორი ფაქტორი (ან ორი კრიტერიუმი – სოციალური და მუსიკალური) შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. კერძოდ, მაგალითად, სოციალური კრიტერიუმის მიხედვით უნისონში ჯგუფური სიმღერა არის მრავალხმიანობა, რადგან საქმე გვაქვს ადამიანთა კოლექტივის წევრების ერთდროულად მუსიკალურ ურთიერთობასთან (მაგალითად, რიტუალში მონაწილეობის დროს, სოციალური თავყრილობის დროს, სტადიონზე სიმღერისას, ანდა ნაციონალური ჰიმნის შესრულებისას). რაც შეეხება მუსიკალურ კრიტერიუმს, ამ მხრივ ერთი ადამიანის სიმღერასა და ადამიანთა ჯგუფის მიერ უნისონში სიმღერას შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს. სწორედ ამიტომ უნისონური სიმღერა უყოყმანოდ არის მიკუთვნებული ერთხმიანობის სფეროს. ჯგუფური უნისონური სიმღერა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება საინტერესო მრავალხმიანობის თვალსაზრისით (მუსიკალური კრიტერიუმის მიხედვით), თუ მომღერლები გადაუხვევენ მკაცრი უნისონიდან და ვარიანტიულ-ჰეტეროფონულ ფაქტურას ქმნიან.

მეორე მხრივ, შეიძლება შეგვხვდეს საპირისპირო მოვლენაც, ანუ როდესაც მუსიკალური ფაქტორის მიხედვით გვაქვს მრავალხმიანობა, მაგრამ არა გვა-

ქვეს სოციალური მრავალხმიანობა. ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე ცენტრალურ აზიაში და მიმდებარე რეგიონებში გავრცელებული უნიკალური მოვლენის, სოლო ორხმიანობის (ობერტონული სიმღერის) შემთხვევაში. მუსიკალური კრიტიკრიუმის მიხედვით, ობერტონული სიმღერა არის მრავალხმიანობა, რადგან მასში ერთდროულად ჟღერს ორი სიმალღებრივად განსხვავებული ბგერა, მაგრამ სოციალური კრიტიკრიუმის მიხედვით ეს არ არის მრავალხმიანობა, რადგან შემსრულებელი უმეტესად მარტო მღერის, და შესაბამისად, ამ დროს არ ხდება აქტიური მუსიკალურ-სოციალური ურთიერთობა (თანაინტონირება). უფრო მეტიც, ხშირად ობერტონული სიმღერის ყოფაში შემსრულებელს მსმენელიც კი არა ჰყავს. სოციალური კრიტიკრიუმის მიხედვით სოლო ორხმიანობა მხოლოდ მაშინ იქცევა სოციალურ მრავალხმიანობად, როცა რამდენიმე შემსრულებელი ერთდროულად ასრულებს ობერტონული ორხმიანობის ნიმუშს.

რა თქმა უნდა, არსებობს მუსიკალურ კულტურათა მთელი რიგი, რომლებშიც ვხვდებით მრავალხმიანობას როგორც სოციალური, ისე მუსიკალური ფაქტორების მიხედვით (როგორც ეს არის საქართველოში, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, აფრიკის დიდ ნაწილში, პოლინეზიაში და ასე შემდეგ), მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს მუსიკალურ კულტურათა დიდი რაოდენობა, რომლებსაც მხოლოდ სოციალური (ან მუსიკალური) მრავალხმიანობა ახასიათებთ. ამისდა შესაბამისად, როდესაც ამ სტატიაში ვიყენებ ტერმინ „მრავალხმიანობას“, ვგულისხმობ ისეთ კულტურას, რომლებშიც ვხვდებით მრავალხმიანობას როგორც სოციალური, ისე მუსიკალური ფაქტორების მიხედვით, ხოლო ორ დანარჩენ შემთხვევაში მე შესაბამისად გამოვიყენებ ტერმინებს „სოციალური მრავალხმიანობა“ და „მუსიკალური მრავალხმიანობა“.

ახლა გადავხედოთ მსოფლიოს რეგიონებს და დავაკვირდეთ, თუ რა სურათს მივიღებთ, თუ შევისწავლით მრავალხმიანობის გავრცელებას (1) მხოლოდ მუსიკალური, (2) მხოლოდ სოციალური, და (3) კომბინირებული მუსიკალურ-სოციალური ასპექტების მიხედვით.

(1) **მხოლოდ მუსიკალური ფაქტორის** მიხედვით შედგენილი მრავალხმიანობის რუკა ფაქტობრივად ზუსტად ემთხვევა მუსიკისმცოდნეობაში მიღებულ მრავალხმიანობის კერების რუკას (ასეთი რუკა შეგიძლიათ იხილოთ, მაგალითად, ჩემს 1989 წელს გამოსულ მრავალხმიანობისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, გვ. 307). ეს დამთხვევა არ იქნება გასაკვირი, თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ, რომ სამუსიკისმცოდნეო ტრადიციის მიხედვით სწორედ მუსიკალური ფაქტორის მიხედვით ახდენენ მრავალხმიანი კულტურების იდენტიფიკაციას.

(2) პრინციპულად სხვა სურათს მივიღებთ, თუ დავინყებთ მრავალხმიანი კულტურების რუკის შედგენას **მხოლოდ სოციალური ფაქტორის** მიხედვით. ასეთ რუკაში გაერთიანდებიან ის კულტურები, რომლებშიც ამა თუ იმ ჟანრის სიმღერებში ტრადიციულად მიღებულია ერთობლივი, ჯგუფური სიმღერა. როცა ამ ფაქტორის მიხედვით დავინყე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების შესწავლა, საოცარ სურათს ნავაწყდები. როგორც აღმოჩნდა, მსოფლიოში ფაქტობრივად არ გვხვდება კულტურა, რომელშიც საერთოდ არ არსებობს ჯგუფური სიმღერა. ჩამოთვლამ ძალიან შორს რომ არ წავიყვანოს, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ჯგუფური სიმღერის მყარ ტრადიციებს ვხვდებით ისეთ ცნობილ ერთხმიან კულტურებში, როგორცაა, მაგალითად, ჩინური ანდა ამერიკელი ინდიელების მუსიკა (იხ. შესაბამისი სტატიები 2000 წელს გამოსულ თანამედროვეობის ყველაზე სრულყოფილ ეთნომუსიკისმცოდნურ ენციკლოპედიურ გამოცემაში – ათტომიან „მსოფლიო მუსიკის გარლანდის ენციკლოპედიაში“, ნიუ იორკი, 2000).

(3) **ორივე (სოციალური და მუსიკალური) ფაქტორების** მიხედვით შედგენი-

ლი მრავალხმიანობის რუკა საკმაოდ ახლოსაა მრავალხმიანობის მხოლოდ მუსიკალური ფაქტორის მიხედვით შედგენილ რუკასთან. კორექცია იქნება შესატანი მხოლოდ სოლო ორხმიანობის (ობერტონული სიმღერის) გავრცელების რეგიონებში, რადგან, როგორც ადრევე აღვნიშნე, სოციალური კრიტიკიუმის მიხედვით სოლო ორხმიანობა არ არის მრავალხმიანობა. შესაბამისად, ერთიანი (მუსიკალური და სოციალური ფაქტორების მიხედვით შედგენილი) რუკა უფრო ნაკლები რეგიონების მომცველი იქნება, ვიდრე მუსიკისმცოდნეობაში დღეისათვის მიღებული მრავალხმიანობის რუკა, რომელიც მხოლოდ მუსიკალურ ფაქტორს ეყრდნობა.

შესაბამისად, თამამად უნდა ითქვას, რომ სოციალური მრავალხმიანობა გაცილებით უფრო ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში, ვიდრე მუსიკალური (ან მუსიკალურ-სოციალური) მრავალხმიანობა. უფრო მეტიც, იმის გამო რომ სოციალური მრავალხმიანობა მოიცავს მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა რეგიონს და ყველა კულტურას, შეიძლება ითქვას, რომ *სოციალური მრავალხმიანობა (ჯგუფური სიმღერა) ადამიანთა მუსიკალური კულტურის, და უფრო მეტიც, ადამიანთა ვოკალური კომუნიკაციის ერთ-ერთ უძლიერეს უნივერსალურ ნარმოადგენს.*

ჯგუფური სიმღერის, ანუ სოციალური მრავალხმიანობის გავრცელების არეალებზე დაკვირვებისას კიდევ ერთმა მოვლენამ მიიქცია ჩემი ყურადღება: მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა რეგიონში და ყველა კულტურაში გავრცელებულია ჯგუფური სიმღერის ერთ-ერთი კონკრეტული ფორმა – რესპონსორული (ანუ კითხვა-პასუხის ფორმაზე აგებული) სიმღერა. რესპონსორული სიმღერა გავრცელებულია არა მარტო მრავალხმიან კულტურებში, არამედ მუსიკალური ფაქტორის მიხედვით ყველა ერთხმიან კულტურაშიც. ჩემი დაკვირვების მიხედვით, სოციალური მრავალხმიანობის ესოდენ ფართო გავრცელება მუსიკალური ერთხმიანობის მქონე კულტურებში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ შესრულების რესპონსორული ფორმის გავრცელებასთან არის დაკავშირებული (როგორც წესი, ამ კულტურებში სოლისტის მელოდის პასუხობს უნისონური გუნდი ან სხვა სოლისტი). შესაბამისად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ რესპონსორული სიმღერა ადამიანური მუსიკალური კულტურის და უფრო ფართოდ – ადამიანური კომუნიკაციის კიდევ ერთი უძლიერესი უნივერსალია.

ზოგადსაკაცობრიო უნივერსალიის არსებობა მიგვანიშნებს, რომ განხილული მოვლენის სათავეები იმ უძველეს ეპოქას უნდა განეკუთვნებოდეს, როდესაც ადამიანთა სხვადასხვა გეოგრაფიულ რასებად დაყოფა ჯერ არ იყო დაწყებული. შესაბამისად, როგორც ჩანს, ჯგუფური და რესპონსორული სიმღერის სანყისები ადამიანური ევოლუციის ადრეულ ეპოქებშია საძიებელი.

სანამ რესპონსორული სიმღერის (ანუ სოციალური მრავალხმიანობის) ნარმოშობის ევოლუციურ მნიშვნელობაზე ვისაუბრებთ, საჭიროა მოკლედ შევეხო სოლო ორხმიანობის ფენომენის ნარმოშობის საკითხს. როგორც ადრევე აღვნიშნე, რესპონსორული სიმღერისგან განსხვავებით სოლო ორხმიანობა მუსიკალურად მრავალხმიანობაა, თუმცა სოციალურად იგი არ არის მრავალხმიანობა.

მუსიკისმცოდნეობაში არსებობს აზრი, რომ სოლო ორხმიანობის ფენომენის ძირები ევოლუციურად ძალიან ღრმა ეპოქებს შეიძლება უკავშირდებოდეს. ეს შეხედულება ეყრდნობა, უპირველეს ყოვლისა, თვით სოლო ორხმიანობის საშემსრულებლო სტილს და მეტად თავისებურ, თითქოსდა არაადამიანურ ხმოვანებას. რა თქმა უნდა, ნებისმიერი მოვლენის ისტორიული ძირების კვლევა ყოველთვის დიდ ეჭვებს იწვევს, მაგრამ თუ მაინც შევეცდებით ამა თუ იმ მოვლენის ნარმოშობის ისტორიის აღდგენას, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავეყ-

რდნოთ ამ მოვლენის მხოლოდ ჩვენეულ სმენით-ემოციურ შეფასებას. ჩემი ღრმა რწმენით, რაც არ უნდა არქაულად გვეჩვენებოდეს ესა თუ ის სასიძვერო სტილი, მისი წარმოშობის გზებისა და ხნიერების დასადგენად აუცილებელია გავითვალისწინოთ და გავაანალიზოთ მონაცემებისა და ფაქტორების მთელი რიგი. კერძოდ, თუ მონაცემები იძლევა ამის საშუალებას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ამ მოვლენის გავრცელების გეოგრაფიული არეალი, ამ არეალში მიმდინარე ისტორიული და ეთნიკური პროცესები და შეძლებისდაგვარად, არც ისტორიული წყაროები დავივიწყოთ.

რა სურათს ვიღებთ ამ ფაქტორების მიხედვით სოლო ორხმიანობის ფენომენის შესწავლის შედეგად?

გავრცელების არეალი. თუ დავაკვირდებით სოლო ორხმიანობის გავრცელების არეალს, დავინახავთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონები მოიცავს დასავლეთ ტუვას, ჩრდილო-დასავლეთ მონღოლეთს და ალტაე-საიანის მთიანეთს. სწორედ ეს რეგიონები ითვლება სოლო ორხმიანობის გავრცელების ყველაზე მნიშვნელოვან კერებად. სწორედ ამ რეგიონებში ვხვდებით სოლო ორხმიანობის მრავალფეროვან ფორმებს და მრავალრიცხოვან ტერმინოლოგიას. ეს საკმაოდ ერთიანი რეგიონია, და მოვლენის გეოგრაფიული გავრცელების პრინციპს თუ გავითვალისწინებთ (რომლის მიხედვითაც უფრო ძველი მოვლენები ინახება პატარა კუნძულების სახით, იზოლირებულ გეოგრაფიულ არეალებში), სოლო ორხმიანობა არ უნდა იყოს ძალიან არქაული მოვლენა.

ისტორიული პროცესები. გადავხედოთ ამ რეგიონში განვითარებულ ისტორიულ პროცესებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი დღეისათვის დასახლებულია აღმოსავლეთ აზიური (ან მოძველებული ტერმინოლოგიით – მონღოლოიდური) წარმოშობის მოსახლეობით, ჩვენი ნელთალრიცხვის მე-9 საუკუნემდე ამ ტერიტორიაზე ძირითადად ცხოვრობდა სრულიად განსხვავებული, ევროპეიდული ტიპის მოსახლეობა. მის შემადგენლობაში პრინციპული ცვლილებები დაიწყო სწორედ მე-9 საუკუნეში, როდესაც ინტენსიურმა მიგრაციებმა პრინციპულად შეცვალა დემოგრაფიული სიტუაცია. სწორედ მე-9 საუკუნეში მოხდა ევროპეიდული მოსახლეობის ინტენსიური შეცვლა აზიური მოსახლეობით. ამ პროცესს, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, არ ჰქონდა სრული მასშტაბი, და ანთროპოლოგიური მონაცემების მიხედვით ძველი ევროპეიდული მოსახლეობის სუბსტრატი დღესაც აშკარად შეინიშნება დასავლეთ ტუვაში, ჩრდილო-დასავლეთ მონღოლეთში, და ალტაე-საიანის მთიანეთში. სოლო ორხმიანობის დღევანდელი გავრცელების რეგიონებისა და ძველი ევროპეიდული მოსახლეობის სუბსტრატის გავრცელების დღევანდელი არეალების ესოდენ ზუსტი დამთხვევა მიგვანიშნებს, რომ ჩვენი ნელთალრიცხვის მე-9 საუკუნიდან ცენტრალურ აზიაში და მიმდებარე ტერიტორიებზე მიმდინარე ინტენსიური მიგრაციული პროცესები შეიძლება დაკავშირებული იყოს სოლო ორხმიანობის ფენომენის გენეზისთან.

ისტორიული წყაროები. ისტორიული წყაროების ერთ-ერთი უდიდესი ნაკლი ისაა, რომ დამწერლობითი ძეგლები, როგორც წესი, მსოფლიოს უმეტეს რეგიონებში ძალიან გვიან ჩნდება და, შესაბამისად, ვერ გვანვდიან ცნობებს ადრეული ეპოქების შესახებ. საბედნიეროდ, ჩინური ცივილიზაციის მიერ დამწერლობითი კულტურის ათასწლეულების სიღრმეში შექმნამ უნიკალური წერილობითი ინფორმაცია დაგვიტოვა არა მარტო უშუალოდ ჩინური მოსახლეობის, არამედ მოსაზღვრე რეგიონების მოსახლეობის შესახებაც. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ცნობები, რომელთა მიხედვითაც ცენტრალური აზიის რეგიონში მოსახლე ტომები გამოსცემდნენ „დაბალი ღრიალა ბანი-

სა და სტვენის მსგავსი ხმის შეხამებაზე აგებულ“ უცნაურ საბრძოლო ყიჟინას. ამაზე უფრო ზუსტი აღწერა სოლო ორხმიანობის ჩვენთვის დღეისათვის ცნობილი ფენომენისა, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია. საყურადღებოა, რომ ეს ცნობები ჩნდება (და შემდგომ არაერთხელ მეორდება) მე-9 საუკუნის ჩინურ ისტორიულ ჩანაწერებში.

რა თქმა უნდა, ძნელია შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება მხოლოდ გავრცელების არეალის, ანდა მხოლოდ ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური და დამწერლობითი წყაროების საფუძველზე (ცალ-ცალკე), მაგრამ თუ ყველა ეს, თავისთავად დამოუკიდებელი მონაცემი ერთმანეთს ემთხვევა და ერთი მიმართულებით მიგვანიშნებს, მაშინ მეცნიერული ვარაუდი გაცილებით უფრო მეტ საფუძველს იკრებს და შეუდარებლად უფრო სარწმუნო ხდება. როგორც ჩანს, მიუხედავად არქაული ხმოვანების გარეგნული ეფექტისა, სოლო ორხმიანობა არ არის ძალიან არქაული სასიმღერო სტილი და ამ უნიკალური ტრადიციის გაჩენას, როგორც ჩანს, ბიძგი მისცა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი და მეორე ათასწლეულების მიჯნაზე ცენტრალურ აზიაში მიმდინარე აქტიურმა ეთნოკულტურულმა პროცესებმა.

რა თქმა უნდა, სრულებით შემთხვევითია, თუმცა მაინც საინტერესოა, რომ ცენტრალური აზიის სოლო ორხმიანობის ფენომენის წარმოშობის სავარაუდო თარიღი ძალიან ახლოსაა ევროპული პროფესიული მრავალხმიანობის წარმოშობის თარიღთან, რომელიც, არსებული წყაროების მიხედვით ასევე მე-9 საუკუნეში ჩნდება.

შესაბამისად, ერთი მხრივ ჩვენ გვაქვს სოციალური მრავალხმიანობა (გამოვლენილი, უპირველეს ყოვლისა, რესპონსორული სიმღერის ფორმით), რომელიც მსოფლიო მუსიკალური კულტურების და ადამიანური კომუნიკაციის ერთ-ერთ უძლიერეს უნივერსალურ ნარმოადგენს, და როგორც ჩანს, ადამიანის ევოლუციის სანყის პერიოდს უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ კი გვაქვს მხოლოდ მუსიკალური მრავალხმიანობა (ობერტონული სიმღერა – სოლო ორხმიანობა), რომელსაც საკმაოდ შეზღუდული გავრცელების არეალი აქვს, და რომელიც, როგორც ჩანს, დაახლოებით ათასი წლის ისტორიას ითვლის. როგორც ვხედავთ, *მრავალხმიანობის ევოლუციის ისტორიაში განსაკუთრებული როლი სწორედ სოციალურ მრავალხმიანობას, და კერძოდ – რესპონსორულ სიმღერას უნდა შეესრულებინა.*

რესპონსორული სიმღერის გაჩენა, ჩემეული მოდელის მიხედვით, უდიდესი მნიშვნელობის ევოლუციური მოვლენა იყო. ვოკალურ (ბგერათსიმადლებრივ, ანუ სასიმღერო) მედიუმზე აგებულ კომუნიკაციაში რესპონსორული სიმღერის გაჩენა იყო მიზეზი (ან შედეგი – ეს კიდევ სხვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია!), პრინციპულად ახალი, ადამიანური, კითხვა-პასუხზე აგებული კომუნიკაციის გაჩენისა. მე აღარ ჩამოვთვლი დანვრილებით, თუ რა რევოლუციური სიახლეები შემოიტანა შეკითხვის ფენომენის გაჩენამ ადამიანურ აზროვნებაში და ენაში. ამ მოდელის თანახმად, შეკითხვის ფენომენის გაჩენა იყო ყველაზე დიდი კოგნიტიური რევოლუცია; ზღვარი, რომელმაც გამოჰყო ადამიანთა წინაპარი ცხოველთა სამყაროდან (შეკითხვის ფენომენის რევოლუციური მნიშვნელობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ჩემი სტატია 2002 წლის სიმპოზიუმის მასალებში, ასევე სხვა პუბლიკაციები, მაგ. *Jordania, 2000, 2003*)

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება რამოდენიმე დასკვნის გაკეთება:

➤ სოციალური მრავალხმიანობა (ანუ ჯგუფური სიმღერა) ისტორიულად იყო მუსიკალურ-კომუნიკაციური სისტემის ყველაზე უნივერსალურად გავრცელებული, და როგორც ჩანს, ყველაზე ადრეული ფორმა;

➤ სოციალური მრავალხმიანობის უნივერსალური გავრცელება მსოფლიო-

ში გვიდასტურებს, რომ თავისი არსით და სანყისებით მრავალხმიანობა, უპირველეს ყოვლისა, იყო სოციალური მოვლენა და მხოლოდ უფრო გვიანდელ ეპოქაში (დანაწევრებული მეტყველების მიერ დომინირების მოპოვების მერე) შეიძინა მან გამოკვეთილი მუსიკალური (და ესთეტიკური) ფუნქცია, თუმცა მრავალხმიანობის სოციალური ბუნება დღესაც აშკარაა;

➤ სოციალური მრავალხმიანობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ყველაზე ადრეული ფორმა (როგორც ერთხმიან, ისე მრავალხმიან კულტურებში) არის რესპონსორული სიმღერა;

➤ რესპონსორული სიმღერის გაჩენა ადამიანის ევოლუციურ ისტორიაში დაკავშირებული იყო ადამიანისათვის დამახასიათებელი უნიკალური კოგნიტიური შესაძლებლობის – შეკითხვის ფენომენის გაჩენასთან. უაღრესად საინტერესოა, რომ ლაბორატორიებში სპეციალურად განვრთნილ ადამიანისმაგვარ მაიმუნებზე (განსაკუთრებით შიმპანზეებზე და ბონობოებზე) ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ მაიმუნებს წარმატებით შეუძლიათ ადამიანებთან საკმაოდ განვითარებული კომუნიკაცია, მათ შორის შეკითხვებზე პასუხის გაცემაც, მაგრამ ისინი ვერ სწავლობენ შეკითხვების თვითონ დასმას.

➤ შეკითხვების დასმის სინტაქსური სტრუქტურა მსოფლიო ენების ერთ-ერთ უძლიერეს უნივერსალიას წარმოადგენს (Chomsky, 1957). კიდევ უფრო უნივერსალური და ევოლუციურად ადრინდელი ჩანს შეკითხვის ინტონაციაზე დაყრდნობილი შეკითხვის დასმის გზა, რაც უნდა მომხდარიყო კომუნიკაციაში სინტაქსური სტრუქტურების გაჩენამდე. კარგად არის ცნობილი, რომ ნებისმიერი რასისა და ნაციონალობის ბავშვები სწორედ შეკითხვის ინტონაციაზე დაყრდნობით იძლევიან პირველ შეკითხვებს თავის ცხოვრებაში (Cruttenden, 1986).

➤ ადამიანური კომუნიკაციის ყველაზე რეველუციური ცვლილება (შეკითხვებსა და პასუხებზე აგებული დიალოგური კომუნიკაციის გაჩენა), და ადამიანური კოგნიტიური განვითარების ყველაზე რეველუციური ნახტომი (აღმოჩენა იმისა, რომ სხვა ადამიანები წარმოადგენენ უმდიდრეს საინფორმაციო წყაროს, რომელთა დახმარებითაც შეიძლება პრობლემების გადაჭრა) განხორციელდა პირველადი მუსიკალურ-კომუნიკაციური ეპოქის საზღვრებში, დანაწევრებული მეტყველების ფართოდ დამკვიდრებამდე.

ცნობილი გამოთქმის „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“ (Cogito Ergo Sum) პერეფრაზირებით „ვიძლევი შეკითხვას, მაშასადამე, ვაზროვნებ“ (Interrogo Ergo Cogito) მინდოდა ხაზი გამესვა შეკითხვის ფენომენის გაჩენის მნიშვნელობისათვის ადამიანური აზროვნების ევოლუციაში. ჩემეული მოდელის მიხედვით, ადამიანური ენისა და აზროვნების განვითარების ისტორიაში მომხდარი ეს „ევოლუციური რეველუცია“ უშუალოდ იყო დაკავშირებული ჯგუფური სიმღერის განვითარების ადრეულ ეტაპებთან.

References

- Jordania, Joseph. (1988) *Genezis mnogogolosia i problema proisxozhdenia chlenorazdel'noi rechi* [Orgins of polyphony and the problem of genesis of articulated speech], in materials of the conference *Problems of Traditional Polyphony*, edited by Joseph Jordania, Tbilisi: Tbilisi State University Press. Pg 21-23. (In Russian.)
- Jordania, Joseph. (1988a) *Narodnoe mnogogolosie, etnogenez i rasogenez* [Folk polyphony, ethnogenesis and race genesis]. *Sovietskaia Etnografia* 2:23-33. (In Russian with English summary.)
- Jordania, Joseph. (1989). *Gruzinskoe traditsionnoe mnogogolosie v mezhdunarodnom kontekste mnogogolosnix kultur: k voprosu genezisa mnogogolosia* [Georgian traditional polyphony in international context of polyphonic cultures: The problem of origins of polyphony]. Tbilisi: Tbilisi State University Press. (In Russian with English summary.)
- Jordania, Joseph. (1997). Perspectives of interdisciplinary research of part-singing phenomenon, in *Ethnomusicology and historical musicology – Common goals, shared methodologies?* Erich Stockmann zum 70 Geburtstag. Edited by Christoph-Hellmut Mahling and Stephan Munch. Tutzing: Verlegt Bei Hans Schneider. Pg 211-216.
- Jordania, Joseph. (2000). Question intonation, speech pathologies, and the origins of polyphony, in *Problems of Traditional Polyphony*. Edited by Rusudan Tsursumia et al, Tbilisi State Conservatoire, pg. 143-155 (In Georgian with English summary.)
- Jordania, Joseph. (2001). Moral models and ethics in the study of the origins of choral polyphony, in *Problems of Polyphony in Sacred and Secular music*. Edited by Rusudan Tsursumia et al, Tbilisi State Conservatoire, pg 328-345. (In Georgian and English)
- Jordania, Joseph (2002) *Etnomuzikologia: mezhdisciplinarnie perspektivi*. [Ethnomusicology: Interdisciplinary prospects] in *The art of the oral tradition: Historical Morphology*. Edited by Nailia Almeeva et al. Russian Institute for the History of the Arts: Sankt-Petersbourg. Pg 236-249. (In Russian.)
- Jordania, Joseph. (2003) *Multidisciplinary approach to the problem of the origins of vocal polyphony*. In *The First International Symposium on Traditional Polyphony*. Edited by Rusudan Tsursumia and Joseph Jordania. Tbilisi: Tbilisi State Conservatoire, pg 79-89. (In Georgian and English.)
- Chomsky, Noam. (1957). *Syntactic Structures*. The Hague: Mouton, 1957. Reprint. Berlin and New York, 1985.
- Cruttenden, Alan. (1986). *Intonation*. Cambridge: Cambridge University Press.
- Schneider, Marius. (1969). (1st edition 1934, 1935). *Geschichte der Mehrstimmigkeit*. Tutzing: Schneider.